განახლებულია 01.10.2025

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სკოლამდელი განათლება/Preschool Education**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**სკოლამდელი განათლების ბაკალავრი/ Bachelor of Preschool Education**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ნანი მამულაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ-ფოსტა: n.mamuladze@bsu.edu.ge ნატო შეროზია, ასოცირებული პროფესორი, ელ-ფოსტა: nato.sherozia@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**240 ECTS**
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და პროგრამაზე დასაშვებად უნდა დაძლიონ ეროვნულ გამოცდებზე კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ბსუ-ს წესდებისა და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობით ჩარიცხვა. აგრეთვე, კანონმდებლობის შესაბამისად, დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სკოლამდელი განათლების ბაკალავრი, რომელსაც: ✓ გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვის განვითარების მახასიათებლების, შესაბამისი თეორიების, დემოკრატიული, ინკლუზიური და ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ, გაცნობიერებული აქვს პროფესიის მნიშვნელობა საზოგადოებისა და ქვეყნის განათლების სისტემისთვის; ✓ ბავშვის საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, შეუძლია ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე დაკვირვება და პროგრესის შეფასება, ეფექტიანი

	სასწავლო გარემოს შექმნა და ორგანიზება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ადვოკატირება ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სერვისების ჩამოყალიბებისთვის, კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მისი წარდგენა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, პროფესიონალებისა და ადგილობრივი თემისთვის თანამშრომლობითი ფორმით; ✓ ჩამოყალიბებული აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ზრუნავს პროფესიული განვითარებისა და შრომის ბაზარზე დამკვიდრებისთვის, ქმნის ინკლუზიურ, თანასწორობასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დამყარებულ საგანმანათლებლო პრაქტიკას, შეუძლია პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და კვლევისა და პრაქტიკის თანხვედრის გაანალიზება.
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები: ✓ წარმოაჩენს ბავშვის განვითარების შესახებ თეორიებში, სკოლამდელი განათლების კონცეფციებში, ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საფუძვლებში პროფესიულ ცოდნას; განმარტავს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტებს (ზრუნვა, ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა, ძალადობისგან დაცვა, კონფლიქტები და სხვა), აანალიზებს ბავშვის განვითარების მახასიათებლებს; ✓ აცნობიერებს ბავშვის განვითარების ჰოლისტურ და ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, უნივერსალურ და ინდივიდუალურ სასწავლო სტრატეგიებს, თანამშრომლობითი მუშაობის თავისებურებებს, ასაბუთებს დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებსა და თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას; ✓ აანალიზებს ოჯახის თავისებურებებს, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, პროფე¬სიო-ნალებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის პრინციპებსა და სტრატეგიებს, გამოკვეთს მშობლის როლსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის ჰოლისტური განვითარების პროცესში; ✓ ეცნობა ბავშვის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, აკვირდება ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებას, მეთოდოლოგიურად აგროვებს და სტრუქტურირებას უკეთებს მონაცემებს ბავშვის ქცევისა და განვითარების შესახებ; ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას, მათი ჩართულობისთვის შეიმუშავებს სტრატეგიებს და ახორციელებს დიფერენცირებულ მხარდაჭერას; აანალიზებს მიღებულ შედეგებს და მიზანმიმართულად იყენებს მათ საგანმანათლებლო პროცესის სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტური წარმართვისა და პროფესიული რეფლექსიის პროცესში; ✓ ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმების მოდელების გათვალისწინებით შეიმუშავებს კურიკულუმის ჩარჩოს და გეგმავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს,

	უზრუნველყოფს თამაშის ხელშეწყობას, უსაფრთხო, მასტიმუ¬ლი¬რებელი საგან¬მანათ¬ლებლო გარემოს შექმნას, ზრუნავს ბავშვის კეთილდღეობაზე, თვითმოვლასთან დაკავშრებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, გამოხატავს ბავშვის მიმართ პატივისცემას, ფლობს და იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრაქტიკის ობიექტის ფიზიკური გარემოს გასაუმჯობესებლად; ✓ ხელს უწყობს ენობრივ განვითარებას მულტილინგვური და ბილინგვური განათლების პერსპექტივის გათვალისწინებით, სოციალურ ინკლუზიას, ბავშვე¬ბისათვის ადგილობრივი და მსოფლიო კულტურული მემკვიდ¬რეობის მისაწვდომობას, გეგმავს სხვადასხვა ენობრივ და კულტურულ ჯგუფთან მუშაობის სტრატეგიას კულტურული გამოცდილებების გაზიარებით; ✓ აანალიზებს და ასაბუთებს ბავშვსა და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ნდობაზე და პარტნიორულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების/კომუნიკაციის სტრატეგიულ მნიშვნელობას; შეისწავლის საბავშვო ბაღისა და ადგილობრივი თემის სოციოკულტურული ცხოვრების პროცესებში ბავშვთა აქტიური მონაწილეობის პედაგოგიურ და სოციალურ კონტექსტს; მიზანმიმართულად განსაზღვრავს მათი სრულფასოვანი ჩართულობის ხელშეწყობის ინოვაციურ სტრატეგიებსა და მექანიზმებს; ✓ ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით რეაგირებს ცვლილებზე, უმკლავდება გაუთვალისწინებელ და არაპროგნოზირებად სიტუაციებს; ✓ განიხილავს და აფასებს საკუთარ და სხვის პრაქტიკას ინდივიდუალურად და ერთობლივად, ასაბუთებს კვლევის მნიშვნელობას პრაქტიკის სრულყოფისთვის, მოიძიებს ადრეული განათლების მიმართულებით სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციას, გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკის კვლევას, აანალიზებს კვლევისა და პრაქტიკის თანხვედრას, ინიცირებს გამოცდილების რეფლექსიას; ✓ უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას; ხელს უწყობს ადგილობრივ თემში ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების დანერგვას, ეთიკის ნორმების გათვალისწინებით ბავშვებისა და ოჯახების უფლებების პოპულარიზაციას და დაცვას, აღიარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ან/და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობის მნიშვნელობას, ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად.